



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 9 21 0000839083



31/08/2021

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული
მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო
საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი
სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2021 წლის 9 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის №MO-02/02-220 სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის - №780548) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის №726549 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.


2021 წლის 20 აგვისტოს, სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 28³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას განსახილველად შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის 2021 წლის 9 აგვისტოს №780548 სააპელაციო საჩივარი „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

1. სააპელაციო საბჭოს 2021 წლის 31 აგვისტოს სხდომის №838849 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

